წითელ ხან-ხუცის ალმოსავლეთ

ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ბრძოლაში

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 15 ივნისი № 139 (16265) ფასი 2 კაპ. 1975

ხმას ვაძლევთ შრომას, მშვიდობას!

ს. კილაძის ფოტოპლაკატი.

ახალი ზეიმი

ღეს არჩევნებია. დღევანდელი დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიაში. ზაფხულის ამ დიდებულ დღეს საქართველოს შრომელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მივლენ საარჩევნო უნებში და ხმას მისცემენ საბჭოების დეპუტატებს, პარტიისა და ხალხის არჩეულთ, ღირსიულ ადამიანებს, ისათ, ვინც საქმით, თავისი გონებით, მარჯვენით, შრომითი მოღვაწეობით სახელი გაითქვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა უბანზე, მოიპოვა ნდობა და პატივისცემა — იყოს საქართველოს სსრ, აფხაზეთის, აჭარის სსრ უმაღლესი, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონების, ქალაქების, რაიონების, დაბების, სასოფლო საბჭოების დეპუტატი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული დეგინის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის უაღრესად შთამაგონებელ სიტყვას, რომელიც მან მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. რედაქციაში მოდის შრომელთა დიდძალი წერილები, ბეჭდებში, რომლებშიც ჩვენი ხალხი, საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს მშობლიური პარტიის სანინაო და საგარეო პოლიტიკას, პირობას დებენ, რომ შრომით, შემოქმედებითი მოღვაწეობით, ენერგიული შემართებით ებრძოლებენ პარტიის შენახსწარმოსახულობათა ხორცშესხმისათვის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული საპროგრამო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

და ყოველივე ეს უდიდესი სიხარულით გამოიხატება იმით, რომ დღევანდელ არჩევნებს — სოციალისტური დემოკრატიის ამ ნამდვილ ზეიმს, ჩვენი მშრომელები ზეიმებად მომავლის მატიკეგრეშენით, დიდი პოლიტიკური ინტუიციით, ანგარიშგაწევნილობით, რაც კიდევ უფრო ადამიანად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმამშინაარსიანმა ისტორიულმა სიტყვამ.

სამრეწველო საწარმოებისა და საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები გულმხურვალედ იწონებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულ დებულებებს და კიდევ უფრო ფართოდ ავლენენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე და ღირსებრნენი შესრულებისათვის. პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დღევანდელ არჩევნებში კომუნისტური პარტია გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო ერთიანობით და ურღვევი ბლოკით. და სწორედ ეს არის სოციალისტური დემოკრატიის ძალა და ძლიერება. ეს ძალა იმით არის განმტკიცებული, რომ თვით ხალხია არჩევნების შემოქმედი, უშუალოდ მონაწილეობს ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობის განსაზღვრაში.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა ქვეყნაში გამართულ ყველა არჩევნებში მშრომელები სიხარულით აძლევენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

დღეს, ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დღეს ლენინური პარტია გზას ულოცავს ყველა მშრომელს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს, მოუწოდებს მათ იმუშაონ უფრო ნაყოფიერად და შემოქმედებითად.

წინა არჩევნებიდან განვლილმა წლებმა ჩვენს ხალხს ნათლად უჩვენა, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. ყოველივე ის, რასაც პარტია იტყვის, ხორციელდება. პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა საქმე, გარდა ხალხისათვის თავდადებული და უანგარო სამსახურისა.

სწორედ ამიტომ, დღეს საქართველოს მშრომელები დიდი ერთსულოვნებით, დარაზმულობით მივლენ საარჩევნო უნებში და ხმას მისცემენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს, იმათ, ვისაც ხალხი დიდ პატივს სცემს, ვინც მოიპოვა ნდობა, სიყვარული, ერთგულება.

ყველანი არჩევნებზე, ძვირფასი ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისს წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა 1975 წლის 13 ივნისს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც შეჯამებულია ბოლო ოთხ წელიწადნახევარში ჩვენი პარტიის ლენინური კურსისა და სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული პროგრამის განხორციელების შედეგები, განსაზღვრულია მომავალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მიჯნები, დასახულია ჩვენი მუშაობის ხარისხის შემდგომი ყოველმხრივი გაუმჯობესების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში ახალ წარმატებათა მიღწევის ამოცანები.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელებმა, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს, რომ ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის საიმედო კომპასი იქნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგების შეჯამებისა და პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების მთელ პერიოდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სოციალისტური საშშოლოს შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესისათვის სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პირადად ამ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი საქმიანობა საქართველოს მშრომელებს აღფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის, განმტკიცებს მათს გადაწყვეტილებას საქმით უპასუხონ პარტიის ზრუნვას, მთელი თავიანთი ენერგია, შემოქმედებითი ძალები, თავდადებული შრომა მოახმარონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყველა გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების უთუოდ შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია, რომ დიდმა შეფასებამ, რომელიც ამ. ი. ბრეჟნევმა მისცა ჩვენს მუშას, კოლმეურნეს, საბჭოთა ინტელიგენტს, შრომისადმი მათს შეგნებულ და ინიციატივან დამოკიდებულებას, მათს მისწრაფებას იცხოვრონ თავიანთი საწარმოს, რაიონის ოლქის, რესპუბლიკის, მთელი ჩვენი სამშობლოს ინტერესებით, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკების წვლილის შეფასებამ ახალი მძლავრი სტიმული უნდა მისცეს მოსახლეობის ყველა ფენის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის მუშაობის გაძლიერებასა და გაფართოებას. საბოლოო ანგარიშით ყველა მიმართულებით ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი წინაპირობაა სწორედ მშრომელთა იდეური რწმენის, პოლიტიკური შეგნების ამაღლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის სიტყვას პროგრამული მნიშვნელობა აქვს, და დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო. საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს ფართოდ გაშალონ აქტიური პროპაგანდისტული და ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობა, რათა თვითეულ მშრომელს განუმარტონ იმ დებულებებისა და დასკვნების არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო კრებაზე.

ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის, ხალქიციო და საგზტაციო-მასობრივი მუშაობის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ყველა საშუალებით გააცნონ რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახული ამოცანები.

იმის გამო, რომ პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში დამთავრდა სასწავლო წელი, რეკომენდაცია ეძლევათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ღრმა განმარტებითი მუშაობისათვის ფართოდ გამოიყენონ ლექტორები და პოლიტიკური მომხსენებლები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის და პოლიტინფორმატორთა ჯგუფისათვის მოაწყონ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საფუძველზე შესწავლისა და ფართო პროპაგანდისადმი მიძღვნილი თათბირ-სემინარები, თეორიული კონფერენციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებებს, იდეოლოგიურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შემოქმედებითს კავშირებს წინადადება მიეცათ გაძლიერონ მუშაობა იდეოლოგიური კადრების იდეურ-თეორიული მომზადების სისტემის შემდგომი სრულყოფის უზრუნველყოფისათვის, რათა ისინი კარგად ერკვეოდნენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პრობლემებში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კომუნისტური იდეალების პროპაგანდას მჭიდროდ უკავშირებდნენ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას. აქტიურად უჭერდნენ მხარს ყოველივე ახალს და მოწინავეს, უნარიანად იბრძოდნენ ნკრილბურუუაზიული ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, პრაქტიკულად იცავდნენ საბჭოთა პატრიოტიზმს, ცხოვრების საბჭოთა წესისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, თანმიმდევრულად და დასაბუთებულად ამხილებდნენ ბურჟუაზიულ და რევიზიონისტულ იდეოლოგიას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახულ ამოცანათა შესაბამისად პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების საპატიო მოვალეობაა დარაზმონ მშრომელთა კოლექტივების, კომუნისტების მთელი ძალები, მთელი თავიანთი ყურადღება დაუთმონ პარტიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, ეფექტიანად გამოიყენონ ორგანიზატორულ და პოლიტიკური შესაძლებლობათა მთელი არსენალი, პატრიოტული და შრომითი აღმავლობის ვითარება, რათა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს ყველა მშრომელმა უზრუნველყონ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით განსაზღვრულ ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესრულება, დაძლიონ ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა, 1975 წელს გამოუშვან 200 მილიონი მანეთის ზეგეგმათი სამრეწველო პროდუქცია და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიყიდონ 120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ერთიორად გაზარდონ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა იდეური რწმენისა და პოლიტიკური შეგნების ამაღლებას, რადგან, იყო იდეურად მტკიცე — ეს ნიშნავს შეგნებული გქონდეს, რომ შენი შრომა დიადი საერთო საქმის ნაწილია, შეუწყნარებლად ეკიდებოდე ეგოიზმსა და უძრაობას, დონდლოობასა და დოყლაპიობას, ობივატელურ გოლგრილობასა და წამგლეჯობას, ეს ნიშნავს საკუთარ თავსა და სხვებს სთხოვდე შრომის დისციპლინის უმკაცრესად დაცვას. მუშაობდე სულითა და გულით. ინიციატივიანად.

პოლიტიკური, ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის მხოლოდ ასეთი შეხამება მოგვცემს შესაძლებლობას, რომ სკკპ მორიგ XXV ყრილობას შევხვდეთ ახალი შრომითი წარმატებებით. მშობლიური კომუნისტური პარტიის. მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის. ამ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი. მზად ვიყოთ კვლავაც ერთგულად ვემსახუროთ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

სულ უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ მშრომელები სახელმწიფოს მართვაში. განვავითაროთ მათი ინიციატივა და სახელმწიფო დაინტერესება ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტით. ამასთან ვიხელმძღვანელოთ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებით, რომ „რაც უფრო მომწიფებული ხდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, რაც უფრო უახლოვდება თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას — კომუნიზმს, მით უფრო მაღლდება ჩვენი მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და მთლიანად ხალხის საზოგადოებრივი აქტივობა. მით უფრო ფართოდ და ღრმად ეხმაურება მშრომელნი სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში, ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კანონი. სწორედ ეს ნიშნავს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და სრულყოფას, რასაც ჩვენი პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს“.

(საკინძოურმი).

მშვიდობიანი ცხოვრების პროგრამა

დიდი სიამოვნებით და მთელი ყურადღებით მოვისმინე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმული, როგორც ყოველთვის, ისტორიული მნიშვნელობის სიტყვა.

აქ ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო დებულებამ, რომ ჩვენს ვითარებაში დეპუტატს დიდი უფლებები და, ამასთანავე, დიდი მოვალეობებიც აქვს. სიტყვაში ხაზგასმით გაისმის იმის მოწოდება, რომ ყოველი ნამდვილი პატრიოტი ვალდებულია იფიქროს მომავალზე, ამიტომ დღეს უკეთ უნდა მუშაობდეს, ვიდრე გუშინ, და ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს.

ეს სიტყვა ჩვენთვის იმიტომაც არის დიდად მნიშვნელოვანი, რომ მასში დასახულია პროგრამა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრებისა. ქართველ ერს ისტორიულად აქვს შეთვისებული მშვიდობის, ე. ი. მშვიდობიანი ცხოვრების მნიშვნელობა, ძალა, დანშნულება და სიტკბოება.

ეუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობიან ცხოვრებას და გამარჯვებას ყოველდღიურ პატრიოტულ და საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეო მოღვაწეობაში.

ავლიპი ზურაბაშვილი

დღევანდელოგის სულისკვეთებით

მთელმა საბჭოთა ხალხმა, პროგრესულმა კაცობრიობამ უღრმესი გულისყურით მოისმინა და გაეცნო ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვას მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე. არ შეიძლება უდიდესი სიამაყის გრძნობით არ განმსჭვალო, რომ „სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები წყდება — და წყდება კარგად!“ ეს კი მშობლიური პარტიის წინამძღოლობით ჩვენი მუშების, საბჭოთა კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის შეგნებული, ინიციატივიანი, თავდადებული შრომის შედეგია, იმის შედეგია, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დაუცხრომლად ზრუნავენ მტკიცე მშვიდობისათვის, მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისათვის.

დიადი მიღწევები ნაყოფია იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში გაწეული დიდი მუშაობისა. და რაოდენ სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ამაში ჩვენც, ხელოვნების მუშაკებსაც მიგვიძღვის წვლილი. ამიტომაც დღენიადაგ უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ უფრო მაღალმხატვრულად, სამართლიან წარმოსახოთ ეკრანზე დიადი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრება.

ნათელი, უღრუბლოა, გრანდიოზული ამოცანების მომცველია ჩვენი ხვალინდელი დღე. ჩვენც — ხელოვნების მუშაკები ამ სულისკვეთებით მივალთ საარჩევნო ყუთებთან.

სიკო დოლიძე,
კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

• • •

სურათზე: ეცნობიან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

გ. ბოგოლიუბოვის ფოტო.

დღეგეშა კოსმოსიდან

ხმას ვაძლევთ მშ. ბლიუერი პარტიის გრძნეულ პოლიტიკას!

„სალუტ-4“ ორბიტული სადგურის ეკიპაჟის მეთაურმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა პ. კლიმუკმა და ბორტინჟინერმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ვ. სევასტიანოვმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოუგზავნეს შემდეგი რადიოგრამა.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს, ვიმყოფებით რა „სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურით კოსმოსურ ფრენაში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხმას ვაძლევთ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნელ სავარეო და საშინაო პოლიტიკას, პარტიისა, რომელიც ეგებება თავის XXV ყრილობას.

ვთხოვთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჩვენი ხმები შეუერთოს იმ ხმებს, რომლებსაც მისცემენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომელიც ქენჭს იყრის ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

(საკედესი).

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის მეგობრობის დღეების მონაწილეებს

გულითადად მივესალმები საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის მეგობრობის დღეების მონაწილეებს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხთა შესანიშნავ შვილებს, ლენინური კომკავშირისა და ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის ღირსეულ წარმომადგენლებს.

ჩვენ, უფროს თაობას, რომელმაც გადაიტანა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე, განსაკუთრებით გვახარებს, რომ თქვენი შეხვედრა მიეძღვნა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების, სოციალისტური თანამეგობრობის, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას, დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30-ე წლისთავს.

ფაშიზმი უწმინდურების წინააღმდეგ წმიდათაწმიდა ომის ქარცეცხლში ფაროთოდ ვიბრდა, ვაკვალებდა და მტკიცებდა ხალხთა ბრძოლა მსოფლიოს რევოლუციური განახლებისათვის, იქმნებოდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, თავის ახალ გზას ადგებოდა მოძმე ჩეხოსლოვაკია.

ბრძოლებში — ხარკოვთან, მარცხენა ნაპირის უკრაინაში, გმირ ქალაქ კიევში — თქვენი დღევანდელი შეხვედრის ქალაქში, სადაც ომის მრისხანე წლებში მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეომრები, დაიწყო ომ სახელოვანი გზის ისტორიული ეტაპი, რომელმაც საბჭოთა კავშირისა და მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხები სამუდამოდ გააერთიანა სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობაში.

გვახარებს, რომ ლენინური კომკავშირი და ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირი, ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდა თაობა ღირსეულად განაგრძობენ დიად რევოლუციურ საქმეს, თავიანთი წვლილი. შეაქვთ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებაში.

ძვირფასო მეგობრებო! იმისათვის, რომ იყო ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი, საჭიროა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა, მუშათა კლასის საქმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი ერთგულება. წმიდად შეინახეთ, ბეჯითად შეისწავლეთ კომუნისტების, ხალხის ბედნიერებისათვის მამაცი მებრძოლების უფროს თაობათა ძვირფასი გამოცდილება. მათგან ისწავლეთ რევოლუციური მგზნებარება, ღრმა კომუნისტური რწმენა, კოლმენეობის იდეალების უსაზღვრო ერთგულება.

დაე თქვენი სიცოცხლე, თქვენი მეგობრობა და ძმობა ემსახურებოდეს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამ დიად ამოცანებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ყველა ქალაშვილსა და ჭაბუკს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს შრომასა და სწავლაში, ბედნიერებაში, შესანიშნავ წარმატებებს XXV ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის აღსანიშნავად.

ლ. ბრეჟნევი

გულწრფელად, სულითა და გულით მივესალმები ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მეგობრობის დღეებს, რომლებიც გადაიტანა ჩვენი მოძმე ქვეყნების ახალგაზრდობის ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის მკაფიო მანიფესტაციად.

ამავე დროს ისინი გამოხატავენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა მჭიდრო ინტერნაციონალურ ურთიერთობას, მჭიდრო თანამშრომლობისა და მტკიცე კავშირის ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო კეთილშობილური იდეალები და მიზნები.

თქვენი შეხვედრის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ იგი გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვებისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30 წლისთავის ზეზე. შეხვედრა სიმბოლურად გამოხატავს ახალგაზრდობის პატივისცემას ორივე ქვეყნის ხალხთა მუშათა კლასის საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციებისადმი, საბჭოთა და ჩვენი გმირების ხსოვნისადმი, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი ცხადყოფს მისწრაფებას პატივი სცეთ მათს ნათელ ხსოვნას კონკრეტული შემოქმედებითი შრომით, სოციალისტური ქვეყნების შემდგომი განვითარებისათვის.

მეგობრობის დღეები ცხადყოფენ, რომ ახალგაზრდა თაობა ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკას და გადაწყვეტილი აქვს სხვა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან და მთელი მსოფლიოს პროგრესულ ახალგაზრდობასთან ერთად ხელი შეუწყოს მშვიდობის პროგრამის განხორციელებას და დაძაბულობის შენელებას მთელ მსოფლიოში.

ნება მიბოძეთ გისურვოთ თქვენ, ლენინური კომკავშირისა და ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის წარმომადგენლებს შემდგომი წარმატებები ჩვენი მოძმე ქვეყნების განვითარებისათვის შრომაში, ბევრი ახალი ძალები და ახალგაზრდობის უჭკნობი ენთუზიაზმი.

გ. ჯუსაკი.

შეჯიბრება ნიშნავს მეგობრობას

შეჯიბრებაში მონაწილე საუკეთესო კომბაინერებისათვის პრიზები დაწესეს ორი მეზობელი სოფლის — აზერბაიჯანის აშაღი ტალისა და საქართველოს ზემო ქედის მხვლელმთესველებმა.

უკვე ოცდახუთი წელია მტკიცე მეგობრობა აკავშირებს ორ მეურნეობას. იშვიათია, რომ რამე ზემი ორივე სოფელში იმართებოდეს მეზობლების მონაწილეობის გარეშე, კოლმეურნეებმა ერთობლივად გადეს ხიდი ალაზანზე, რომელიც ამ ადგილას ყოფს საქართველოსა და აზერბაიჯანს. ისინი სარგებლობენ აგრეთვე საერთო ძალებით გაყვანილი წყალსადენით.

ტრადიციისამებრ შეჯიბრების მონაწილე კოლმეურნეობანი არაერთხელ დახმარებიან ერთმანეთს მოსავლის აღების დროს. ქართველმა მიწათმოქმედებმა აზერბაიჯანელ მეგობრებს გადასცეს ამ რაიონისათვის ახალი „კავკაზის“ ჯიშის ხორბლეულ თესლის დიდი პარტია, გაუზიარეს მისი თესვა-მოყვანის „საიდუმლოებანი“. თავის მხრივ სოფელ აშაღი ტალის მშრომელები დახმარნენ მეზობლებს კაკლნარის გაშენებაში.

(საკედესის კორ.).

საბჭოთა საშშოგლოს შემდგომი აყვავებისათვის

საქართველოს მშრომელებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე

მსოფლიოს—მუშაობა და უფიფრთოება

უცხოეთის გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაზე

მთელი მსოფლიოს რადიომ, ტელევიზიამ, წამყვანმა საინფორმაციო სააგენტოებმა მილიონობით ადამიანს გააცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის სარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. საერთაშორისო პოლიტიკურ კომენტატორთა პირველ გამოხმაურებებში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა ხალხმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კოეგზისტური მშვიდობიანობის გზაზე და სულ ახალ-ახალ დიდ წარმატებებს აღწევს ყველა დარგში.

როგორც აღნიშნავს **პოლონეთის პრესის სააგენტო**, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მტკიცედ და სწრაფად ვითარდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, მათი შეწყობილი შრომა, მათი მჭიდრო ურთიერთმოქმედება საამედოდ უზრუნველყოფს იმ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც სკკპ 24-ე ყრილობამ დასახა.

უნგრეთის ტელევიზია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წარმატებანი საერთო წვლილია მცირე მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ხალხის ბრძოლის საერთო საქმეში.

ადენის სააგენტო აღნიშნავს, რომ, როგორც ცხადყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კურსი საერთაშორისო საქმეებში გამომდინარეობს თვით სოციალიზმის ბუნებიდან და საკანონმდებლო საბჭოთა ადამიანებისა და მომავალ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი აღშენებლობითი შრომის ინტერესებს. საბჭოთა ხალხი, აღნიშნავს სააგენტო, მხურვალედ და ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ პოლიტიკას.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები პირველ ცხობებში ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ ხაზს უსვამენ მის წინადადებას, რომ სახელმწიფოებმა და უწინარეს ყოვლისა დიდმა სახელმწიფოებმა —დადონ შეთანხმება, რომელიც აკრძალავს ახალ სახეობათა მასობრივი მოსახობის იარაღის, მისი ახალი სისტემის შექმნას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მოუწოდებს, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ამ საკითხში საერთაშორისო საფუძველზე, წერს, კერძოდ, **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი.**

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ დონეზე, რომელსაც მიაღწიეს თანამედროვე ტექნიკამ და მეცნიერებამ, იქმნება ატომურ იარაღზე უფრო საშინელი იარაღის შეძენვების საფრთხე, აღნიშნავს **ასოშიეიტედ პრესი** და დასძენს: საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ თუ სსრ კავშირი და შეერთებული შტატები ერთი მიმართულებით იმოქმედებენ, მათ შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ ასეთი იარაღის შემუშავების გზაზე დაუძლეველი დაბრკოლების შექმნაში.

ნიუ-იორკის გაზეთებმა ცნობები ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ დაბეჭდეს პირველ გვერდზე. **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** წერს: „ლ. ი. ბრეჟნევმა ოპტიმისტურად ილაპარაკა დასავლეთთან ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ. გამოთქვა რწმენა, რომ „უახლოეს მომავალში შეიძლება გადაიდგას ახალი დიდი და რეალური ნაბიჯები ევროპაში და მთელ ჩვენს პლანეტაზე სტაბილური და ჯანსაღი მშვიდობის დამყარების გზაზე“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევს მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა უმაღლეს დონეზე და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დამთავრება.

ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის სტრატეგიული იარაღის აკრძალვის წინადადების თაობაზე გაზეთი აღნიშნავს, რომ „იგი შესაძლოა განახილონ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დროს, რომელიც ჟენევაში განახლდება მომდინარე თვეში“.

„ნიუ იორკ ტაიმსი“ ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ დაუძლეველი დაბრკოლება უნდა აღიმართოს ახალი, უფრო საშინელი იარაღის შექმნის გზაზე, და რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს, ერთი მიმართულებით რომ იმოქმედონ, შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში.

ამერიკელ სპეციალისტთა აზრით, წერს **„ვაშინგტონ პოსტი“**, ლ. ი. ბრეჟნევი გულისხმობდა იმ სახეობათა იარაღს, რომელთა საშუალებით შეიძლება სამხედრო მიზნებით გარემოზე ზემოქმედება. გაზეთი აღნიშნავს, რომ „იარაღის აკრძალვა. როგორც ეს აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის თანამიმდეგური თემაა“.

შემდეგ „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ თავის სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევი „რამდენჯერმე დაუბრუნდა შეიარაღების შეზღუდვის თემას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტით“. მან „დაადასტურა მოსკოვის იმედი, რომ შესაძლოა შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ნელი მოაწერონ მომდევნო თვეებში, ვაშინგტონში უმაღლესი დონის შეხვედრის დროს“.

ინგლისის რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ, როგორც ცხადყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა, უახლოეს მომავალში საკუთრივ შესაძლებელია განხორციელდეს ახალი დიდი და რეალური ღონისძიებანი, რათა ევროპაში და მთელს ჩვენს პლანეტაზე დამყარდეს უფრო სტაბილური და ჯანსაღი მშვიდობა. საგეგეტოს მოკაყავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ საბჭოთა კავშირი, მისი კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის, ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, საფრანგეთთან, შეერთებულ შტატებთან, ევრმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ინგლისთან, იტალიასთან, იაპონიასთან, ყველა იმ ქვეყანასთან ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომლებიც ამასვე ესწრაფვიან.

საფრანგეთის „ლუმანიტე“ წერს: „ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ყრილობათა სასახლის ტრიბუნიდან დაბეჯითებით მოუწოდა მსოფლიოს ყველა ხალხს, ყველა მთავრობას, და განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებს, რომ დაიცვან კაცობრიობა ახალი სერიოზული საფრთხისაგან — ატომურზე უფრო საშინელი იარაღის შექმნისაგან.

დღემდე დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს გადაკვრითაც არ უხსენებიათ თერმოატომურ იარაღზე უფრო დამანგრეველი სისტემების შექმნის შესაძლებლობა, მაგრამ ზეგავლენით, კერძოდ, შეერთებული შტატების [illegible] დრო-სამრეწველო კომ[illegible] ზეგავლენით გამალებული [illegible] რაღება გრძელდება...

ლ. ი. ბრეჟნევმა [illegible] შირის სახელით მოუწოდა შეერთებულ შტატებს, დიდ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს, რომ დაიყოვნებლივ შეიმუშაონ შეთანხმება. ასეთი შეთანხმება შესაძლებელია, როგორც ამას ადასტურებს უკვე დადებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები ატომური კონფლიქტის თავიდან აცილების, სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის, ზოგიერთი ტიპის შეიარაღების, მაგალითად ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის, სხვადასხვა სფეროში ატომური გამოცდების აკრძალვის შესახებ“.

ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ საბჭოთა არმია უწინარეს ყოვლისა ასრულებს მშვიდობის დამცველის როლს, წერს **ფრანს პრესის სააგენტო.** მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ახლა მსოფლიოში იწყება პერიოდი, როცა პირველ პლანზე იწევს ამოცანა ყოველდღიური პრაქტიკული საქმეებით განხორციელდეს მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპები.

საბჭოთა ხელმძღვანელმა მკვეთრად გააკრიტიკა ის პოლიტიკოსები, რომლებიც წარმოთქვამენ მშვიდობის ლოზუნგს, სიტყვით ეთანხმებიან მშვიდობიანი თანაარსებობის [illegible] და [illegible] ბულობენ მეიღლაას, მაგრამ ამ[illegible] უფრო თვალის ასახვევად სჩადიან, [illegible] ფაქტიურად კი იმედი აქვთ, რომ [illegible] „ცივი ომის“ [illegible] ,, მოუწოდებენ [illegible] გამალებული შეიარაღებისათვის [illegible] ამასთან [illegible] ანტრალური [illegible] კომიტეტის გენერალური მდივნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის განმტკიცება იმდენად სერიოზული საქმეა ადამიანთა ასლანდელი და მომავალი თაობებისათვის, რომ არ შეიძლება იყო ემორჩილებოდეს რაღმე კონიუნქტურულ მოსაზრებებს.

მოსკოვიდან მიღებულ ცნობაში ფრანს პრესის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა „დასავლეთის ქვეყნებს დანაშაულად ჩაუთვალა, რომ ყოველ ღონეს არ ხმარობენ გამალებული შეიარაღების შენელებისათვის, ხოლო ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს უსაყვედურა, რომ ცდილობენ დაბრუნონ „ცივი ომის“ პერიოდი.

დპპა სააგენტომ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სათაურით „ლ. ი. ბრეჟნევი აცხადებს, რომ შესაძლებელია გადადგას პირველი ნაბიჯები სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფისათვის“ გაავრცელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვის საგარეოპოლიტიკური ნაწილის ვრცელი შინაარსი. (საკდესი).

ემზადებიან შრომითი ზაფხულისათვის

სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის საორგანიზაციო რესპუბლიკური კომისიის სხდომა

გაიმართა 1975 წლის საზაფხულო არდადეგების პერიოდში სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო რაზმებისა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის საორგანიზაციო რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა.

ზაფხულის პრაქტიკული სამუშაოებისათვის სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადების მზადების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. კ. შარტავამ. მან აღნიშნა, რომ 1974 წელს რესპუბლიკის 62 რაიონში შრომობდა სტუდენტთა რაზმი 10.451 კაცის შემადგენლობით, რომელიც შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე. საქართველოს რესპუბლიკურმა რაზმმა 1974 წელს 9,5 მილიონ მანთისაზე მეტი მოცულობის საწარმოო პროგრამა შეასრულა. შარშან მეხუთე „შრომითის მეოთხედში“ მონაწილეობდა დაახლოებით 150 ათასი უფროსკლასელი. გარდა ამისა, შრომისა და ნაკუნების, 65 ბანაკში გაერთიანებული იყო 5.630 მოსწავლე. მოსწავლეთა შრომითმა წვლილმა რესპუბლიკის ეკონომიკაში 1974 წელს შეადგინა 25 მილიონი მანთი.

საწარმოო პროგრამის შესრულების გარდა სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადების წევრებმა საზეთხულო არდადეგების პერიოდში გასწიეს დიდი იდეურ-აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

ამხ. შარტავამ რესპუბლიკური კომისიას გააცნო, თუ როგორ ემზადებიან 1975 წლის საზაფხულო სამუშაოებისათვის სტუდენტთა რაზმები და უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადები, შეეხო ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სტუდენტთა და მოსწავლეთა რაზმების ორგანიზაციასა და მოღებაში.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ჯ. ს. გაგუნაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. დ. ყიფიანი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ა. ა. ძიძიგური, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ზ. ვ. ახრაბაძე, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. მ. ნაკაშიძე, თბილისის უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ვ. გორდეზიანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. ი. მეტრეველი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი რ. ა. დონაძე, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ფ. პ. ფუხაევი, რესპუბლიკის ბაკრომის მინისტრი მ. ა. მეგრელაშვილი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი ე. ა. ბლიაძე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. შ. ზედგინიძე. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ა. კობახიძე, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ნ. გოჩალეიშვილი.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ სტუდენტთა და უფროსკლასელთა შრომის სწორი ორგანიზაციისათვის, რათა შრომითი მეოთხედი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ნამდვილი სკოლა გახდეს.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა. მან დასძინა, თუ ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა და უფროსკლასელთა მონაწილეობას სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, აღნიშნა, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო-ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ რაზმებს, რათა მათ მაღალეფექტიანად იმუშაონ. (საქინფორმი).

სოფელს— ქმედითი დახმარება

თათბირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი საშეფო დახმარების შემდგომი განვითარების შესახებ“.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

თათბირზე გამოვიდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თ. ვ. ჩიკვაიძე, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. მანჯგალაძე, „თბილისგორგაბმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. დ. გოცირიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ნ. ბარძიმოვი, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი ჯ. ი. სიხარულიძე.

სამინისტროები, უწყებანი და ორგანიზაციები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შეთანხმებით პარტიის რაიკომებთან და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებთან ერთად განსაზღვრავენ დასახულ საშეფო ღონისძიებათა შესრულების ზუსტ ვადებს, ესე იგი დადებენ ხელშეკრულებებს შეფობის თაობაზე. განიხილეს საშეფო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მისი შესრულებისადმი კონტროლის სრულყოფის საკითხები. გადაწყვეტილია, რომ ყოველი თვის დამდეგს სამინისტროები, უწყებანი და ორგანიზაციები, რომლებიც სოფელს შეფობენ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ხელშეკრულებანი.

(საქინფორმი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 9 ივნისის გრძანებულებით გეოლოგიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის საპატიო წოდება მიენიჭათ:

ავალიანს გრიგოლ არკადის-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს;

ახვლედიანს კონსტანტინე გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგეს;

ბოჭორიშვილს სოლომონ ონისიმეს-ძეს — „საქგეოლოგიის“ ფოლადაურის საძიებო-სადაზვერვო პარტიის უფროსის მოადგილეს;

გეგუჩაძეს შოთა ქრისტეფორეს-ძეს — „საქგეოლოგიის“ კომპლექსური გეოლოგია-გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსს;

გორბაჩენკოს ალექსი სერგოს-ძეს — „საქგეოლოგიის“ კომპლექსური თემატური გეოლოგიურ-ეკონომიური პარტიის უფროს გეოლოგს;

დავლიანიძეს გივი კონონის-ძეს — „საქგეოლოგიის“ კომპლექსური გეოლოგიურ-გეოფიზიკური ექსპედიციის მთავარ გეოლოგს;

ვარეიშვილს მირიან მირიანის-ძეს — „საქგეოლოგიის“ არამეტალების კომპლექსური გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციის საძიებო პარტიის უფროსს;

ზედგინიძეს სიმონ ნიკოლოზის-ძეს — „საქგეოლოგიის“ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის მთავარ გეოლოგს;

კაპანაძეს გრიგოლ იაგორის-ძეს — „საქგეოლოგიის“ კაოლინიანი პარტიის უფროსს;

კაჭარავას ლადომერ ილიას-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროს რეფერენტს;

კაჭარავას მარიამ ბესარიონის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს;

კვირკველიას ბორის დომენტის-ძეს — სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს შრომის ყოთელი დროშის ორდენსანსაი ჰიდროგეოლოგიური საქართველოს მე-7 რაიონის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსს;

მაღულარიას თამაზ ალექსანდრეს-ძეს — „საქგეოლოგიის“ არამეტალების გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციის ბენტონიტების გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს;

მახარაძეს ავთანდილ პეტრეს-ძეს — სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს შრომის ყოთელი დროშის ორდენსანსაი ჰიდროგეოლოგიური საქართველოს მე-7 რაიონის ჰიდროგეოლოგიური პარტიის მთავარი ინჟინერს;

ნებიერიძეს ნოე სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის გახყოფილების უფროსს;

სკობას ელენე ვიოლეტის ასულს — „საქგეოლოგიის“ მეტალების კომპლექსური გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის გეოლოგიის გახყოფილების უფროს გეოლოგს;

ყანანაშვილს თამარ გრიგოლის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს.

ქუთათელაძეს თამარ დავითის ასულს — „საქგეოლოგიის“ გეოლოგიურ-ლითოლოგიური პარტიის მთავარ გეოლოგს.

წილოსანს პეტრე ვლადიმერის-ძეს — „საქგეოლოგიის“ არამეტალების კომპლექსური გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის უკანაფშავის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარ გეოლოგს.

ხარაბაშვილს ლევან ალექსის-ძეს — „საქგეოლოგიის“ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის უფროსს.

ხუციას მარიამ თეოდორეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ჯაფარიძეს ირაკლი ამბერკის-ძეს — „საქგეოლოგიის“ ჩორდის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის უფროსს.

კომუნისტური შრომის კოლექტივი

თბილისის მე-9 საბავშვო პოლიკლინიკის კომუნისტური შრომის კოლექტივი წარდგენილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხრულიად საკავშირო დათვალიერებაზე.

... ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ამ ორსართულიან შენობაში სიამოვნებით დადიან პაატარა პაციენტები. აქაურ კაბინეტებსა და ჰოლებს ამშვენებს ყვავილები, კედლებს—პლიკაციები და სურათები.

სურათზე: მილებაზე ექიმ ვერონიკა ხოჭოლავასთან (მარცხნივ) და პედიატრიის განყოფილების გამგესთან — ნინო ზედელაშვილთან.

15 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დღეს ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებრიობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავს მედიცინის მუშაკის ტრადიციულ დღეს. გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელი ბ. ჩიქვინიძე შეხვდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, პროფესორ ი. ზედგინიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის ტექსტს.

— გთხოვთ ორიოდე სიტყვით გვიპასუხოთ შეკითხვაზე: რაცა ვადარებთ მედიცინის განვითარების თანამედროვე დონეს რევოლუციამდელს, გრანდიოზული მიღწევების წინაშე აღმოჩნდებით, საყოველთაოდ არის აღიარებული საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის პროგრესულობა. რის შედეგია ყოველივე ეს?

— ასეთი მიღწევები, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საბჭოური სისტემის ყველაზე პროგრესულ სისტემად აღიარება უზრუნველყო საბჭოთა ჯანდაცვის თავისებურებებმა, რომლებიც გამომდინარეობს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან.

საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის განვითარების გენერალური ხაზია პროფილაქტიკური მიმართულება. იგი ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა და გულისხმობს დაავადებათა თავიდან აცილებას, ე. ი. საზოგადოებასა და გარემოში ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს დაავადებათა წარმოშობის მიზეზების, მათი გავრცელების საშიშროებისა და დაავადებათა კერების ლიკვიდაციას.

შევეხები კიდევ ერთ თავისებურებას: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყოველთვის არის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის საგანი, საზოგადოების თვითეული წევრის ერთ-ერთი მოვალეობა. იგი გამოცხადებულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, რადგან ადამიანის ჯანმრთელობა ჩვენს ქვეყანაში მიჩნეულია საზოგადოებრივ სიმდიდრედ. აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჯანდაცვას აქვს დიდი და მუდმივად მზარდი დაფინანსება. 1970 წელს მარტო ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი იყო 170 მილიონი მანეთი, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ამ მიზნით გამოყოფილმა თანხამ 200 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

რა თვისებრივი ცვლილებები აღინიშნება ახლა მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარებაში?

— თვისებრივი ცვლილებები საკმაოდ ბევრია, მაგრამ შეეხები ძირითადს, უპირველესად— ორგანიზაციულს. მთავარი პრობლემა, რომ სოფლის სამედიცინო მომსახურების დონე დაუახლოვდეს ქალაქისას, მოითხოვს სამედიცინო ქსელის სტრუქტურულ გარდაქმნებს. მცირე სიმძლავრის საუბნო საავადმყოფოების ბაზაზე ყალიბდება კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების უფრო ძლიერი დაწესებულება — საექიმო ამბულატორია. საუბნო საავადმყოფოების გამოთავისუფლებულ საწოლთა ბაზაზე ფართოვდება რაიონის ცენტრალური საავადმყოფოები. იგივე საწოლები საშუალებას გვაძლევს გავაძლიერთ სპეციალიზებული (ტრავმატოლოგიური, კარდიოლოგიური, უროლოგიური და სხვ.) სამსახური. ამგვარად ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს.

ამ პრობლემის გადაჭრა მთელი პრინციპულობით დაიყენა სკკპ XXIV ყრილობამ. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითიც საკმარისია. ჩვენში მარტო უკანასკნელ 2 წელიწადში მშრომელთა სამსახურში ჩადგა მსხვილი სამკურნალო - პროფილაქტიკური ცენტრები. საგრძნობლად გაფართოვდა სპეციალიზებული სამსახურის ქსელიც.

— როგორია იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესებისათვის განხორციელდა?

უარყოფითმა მოვლენებმა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წლების განმავლობაში ბოგინობდა, საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაშიც, რასაც მიტად სერიოზული ხარვეზეები და ნაკლოვანებები მოჰყვა.

რესპუბლიკის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა და მისი ნაკლოვანებები მეცნიერულად და ლენინური პრინციპულობით გაანალიზა და ამხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც 1973 წლის 7 აგვისტოს მიიღო სპეციალური დადგენილება. ეს დოკუმენტი რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის სახელმძღვანელო კროგრამაა. მის საფუძველზე შევმუშავეთ ფართო კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებები.

— რას ისახავთ მიზნად მომავალში, როგორია გეგმები და პერსპექტივები?

მიზანი ყოველთვის ერთია— სრულყოთ მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, მისი მეშვეობით უზრუნველვყოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, ხანგრძლივი, ჯანსაღი და შემოქმედებითი სიცოცხლე.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ისინი დიდი პასუხისმგებლობით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, გამამართლებენ პარტიისა და ხალხის ნდობას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ მორიგი XXV ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო შრომაში.

ექვნება რუსეთის პირველ რევოლუციას

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენა

ფლეულს საბჭოთა ხალხი ფართოდ აღნიშნავს რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავს. საბჭოთა ადამიანები დიდ პატივს სცემენ 1905-1907 წლების რევოლუციის სახელოვან გმირებს, რევოლუციისა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია უწოდა.

„რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ისტორია, — ხაზგასმულია „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 70-ე წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში“, — შემოქმედებითი მთავონების უშრეტი წყარო, რევოლუციურ მებრძოლთა ახალი თაობების პოლიტიკური ბრძოლის სკოლაა“.

1905-1907 წლების მოვლენები აისახა რევოლუციის მხატვრულ მატიანეშიც, ფეოწერულ ტილოებზე, გრაფიკულ, სკულპტურულ ნაწარმოებებში, პლაკატებში, ღია ბარათებში, რომლებიც აღსავსეა კრასნაია პრესნიას ბარიკადების, მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გულულ ბრძოლა ნასაკრალია ბრძოლებია მხურვალე სუნთქვით.

„1905-1907 წლების რევოლუცია სახვითს ხელოვნებაში“, — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 13 ივნისს გაიხსნა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. იგი საშუალებას აძლევს თბილისელებს გაეცნონ რევოლუციის მონაწილე და მისი თანამედროვე მხატვრებისა და მოქანდაკეების საუკეთესო ნაწარმოებებს, ნახონ დედნები, რომლებიც იმახეგა სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში.

გამოფენა მოაწყეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურმა მუზეუმმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს მხატვართა კავშირმა.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

ამხ. სირაძემ აღნიშნა, რომ გამოფენა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სსრ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა დიდი, კეთილშობილური და სასარგებლო შრომისათვის მის ორგანიზატორებს სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის მუშაკებს, რომლებმაც ეკსპოზიციები შექმნეს საქართველოს მხატვრების აქტიური მონაწილეობით.

— ეს გამოფენა, — თქვა ამხ. სირაძემ, — საჭირო და აქტუალურია. იგი აღელვებს როგორც ჭაღარა ბოლშევიკებს, ომის ვეტერანებს, ისე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც ახლახან აიდგეს ფეხი ცხოვრებაში.

გამოფენის გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის რევ

ხმას ვაძლევთ ჩვენს მომავალს!

ჩვენი პატრიოტული სიტყვა

ყოველთვის, როცა საარჩევნო ყუთთან მივდივარ, რომ ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოვიხადო, ხმა მივცე ჩვენს ღირსეულ ადამიანებს, რჩეულთა შორის რჩეულთ, უჩვეულო სიხარული და სიამაყე მეპყრობს. იმ მცირე დროში, სანამ ყუთში ბიულეტენს ჩავუშვებდე, მომაგონდება ყველა ის საკითხი და უფლება, რაც თავისუფალმა შრომამ მომცა, რაც ჩვენმა დიდებულმა კონსტიტუციამ მომანიჭა.

ხმა მივცეთ ჩვენს რჩეულთ! ეს სიტყვები მარტო მშრალი მოწოდება როდია და მარტო მოვალეობის მოსახდელად როდი წარმოთქვამთ ამ დღეებში. ეს სიტყვები ჩვენი გულისხმადებია, პირადი სულის ამოძახილია. გამბარი პატრიოტიზმით, ენთუზიაზმით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით. დღეანდელობას ერთგულებით და მომავლის რწმენით. ამ დიდ რწმენას კიდევ უფრო გვიასკეცებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო სიტყვა, რომელიც მან გუშინწინ ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქვა.

იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენს ქვეყანაში მშრომელ ადამიანზე ნათელ წარმოდგენას თვით ჩვენი ქალაქი რუსთავი იძლევა. წელს ამ ქალაქს არსებობის 30 წელი შეუსრულდა. ეს ისტორიაში, როგორც იტყვიან, თვალის ერთი დახამხამებაც არ არის, მაგრამ აბა ერთი გავიაზროთ, როგორ ვიზარდეთ, როგორ დავვაქაცდით, როგორ გავიუმჯობესეთ ცხოვრების პირობები!

ქალაქის მშრომელები დაკმაყოფილებული ვართ ისეთი მოთხოვნილებებით, როგორიც არის ბინები, ტრანსპორტი, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მუსიკალური სასწავლებლები, სპორტული ნაგებობები, მაღაზიები, სასადილოები, კაფე-რესტორნები. ჩვენს ქალაქს სერავენ ფართო ასფალტირებული ქუჩები და პროსპექტები. კულტურისა და დასვენების პარკი თავისი ხელოვნური ტბით ნამდვილად გაჯანსაღების საუკეთესო კერად არის ქცეული. გვაქვს საუთარი სახელმწიფო დრამატული თეატრი, მრავალი კინოთეატრი, კულტურის სასლი და სასახლე.

ზრუნვა და მოვალეობა

მოუთმენლად ველოდებოდი 15 ივნისის მოსვლას. დღეს ხომ ჩვენ ღირსეულ ადამიანებს ავირჩევთ ხელისუფლების ორგანოებში. კომუნისტური პარტია და ხელისუფლება კი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება უფრო გაუმჯობესდეს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე, ამაღლდეს მატერიალური კეთილდღეობა. ამაზე ერთხელ კიდევ მკაფიოდ მეტყველებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო სიტყვა, რომელიც მან გუშინწინ ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქვა.

ეს გასაგებიც არის, რადგან თვითეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ როცა ხმას ძალევს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს, ამით ხმას ძალევს ჩვენი ცხოვრების წინსვლას, აყვავებას, ეკონომიურ სიძლიერეს, თვითეული ოჯახის სიმტკიცეს, ხვავსა და ბარაქას.

დეპუტატი! მე იგი ისეთ ადამიანად წარმომიდგება, რომელიც მუდამდე მშრომელთა კეთილდღეობისათვის იღვწის, თავის ამომრჩეველების ბედიღბალზე ფიქრობს, მათი ბედნიერებისათვის ზრუნავს. და ეს სწორედ ასეც არის — დეპუტატი ჩვენი ყველა ტკივილს თუ სიხარულს ერთგული თანამოზიარეა.

წლევანდელი არჩევნები განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება. ჩვენი სამშობლო ხუთწლედის ზღურბლთან დგას და ემზადება კომუნისტთა დიდი ფორუმის — სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ეს თავისებურ დიდ მოთხოვნებს გვიყენებს ჩვენ, ამომრჩეველებს, რომ დავამტკიცოთ ჩვენი ერთგულება სამშობლოს წინაშე, ვუჩვენოთ დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო, რომ შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ყველა დიდი ამოცანა.

ბ. ბერაძე.

თბილისის ინ. სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ზინკალი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

სურათზე: თბილისის პირველი მაისის რაიონის № 12 საარჩევნო უბანი მზად არის ამომრჩეველთა მისაღებად.

ს. კილაძის ფოტო.

თან ესლეკვს გული

ბიულეტენებს ანთებს
სახელი,
მუშის,
გლეხკაცის,
მძღოლის,
მკვლევარის...
ხმით გამოხატა გულმა
სათქმელი,
ამ ხმას თან ახლავს გული
მღელვარე.
ხმას ვაძლევთ მამულს,
მთებს და ქალაქებს,
მამულიშვილებს რჩეულ-
რჩეულებს,
ხმას ვაძლევთ შრომას,
ხვალის ბარაქას,
აღორძინებულ ჩვენს ტაძილ
დედულეთს.
ზვარი რომ უკეთ იყოს
მოსხმული,
და იჩანჩქეროს პურმა
ბუნკერში...
მერე გადიდდეს ხელახლად
ხნული,
გზები გაიგრას ფვალ-
უკვლევში,
შენი ხმაც მიეც საერთო
ძახილს,
შენ იდღეგრძელე, ძმაო
ძლიერო,
ხმას აძლევს ხალხი!
ხმას აძლევს ხალხი!
სასიკეთოდ და
საბედნიეროდ!

ვლ. გელაშვილი.

ხმას ვაძლევთ

ხმას ვაძლევთ ხალხის
რჩეულებს
თვალმზიანთ —
ოქროსგულებას,
ვინც დასძრა იალაღები
რძის ულეკ ნაკადულებად.
ყურძნის და ღვინის
სიუხვით
ვინც დაგვიმშვენებს
ჭორწილებს,
ვინც ღირსეულად იქნება
დიდი მომავლის მოწილე.
ხმას ვაძლევთ მას, ვინც
მინდორში
აღმართა ხორბლის გორები,
ვინც მიაბიჯებს შრომაში
ხუთწლედის
მხარგასწორებით.
ვინც კლდეებს შესჭიდებია,
ვინც მკერდს უბურდავს
მაღაროს,
რომ გამარჯვებით მამული
ახახელოს და ახაროს.

ვ. ხუცურაული.

დუშეთი, ს. ხორხი.

ერთი რაიონის მომავალი

თითქოს სულ ახლახან, რაღაც ორიოდე წლის წინათ, გაჩნდა რუკაზე დედაქალაქის ახალი რაიონი — საქართხო. მაგრამ მისი მკვიდრნი 15 ივნისს უკვე მესამედ მივლენ საარჩევნო ყუთებთან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის აქ განსაკუთრებით მოემზადნენ და პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან.

საკმაოდ დიდია რაიონის წვლილი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში. იგი ფულადი გამოსახულებით 230 მილიონ მანეთს აღწევს. რაიონის საწარმოების — „ჰიდრომექანიკური სადენების ქარხნის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, ტრესტ ჰიდროელექტრომშენის დამხმარე საწარმოთა კომბინატისა და სხვათა პროდუქცია 18 ქვეყანაში იგზავნება.

ბევრი რამ გაკეთდა რაიონის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. დიმიტროვის სახელობის ქარხნის დასახლებაში აიგო საშუალო სკოლის ახალი შენობა 1.200 მოსწავლისათვის, ლიოლის დასახლებასა და ორხევში მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, კეთილმოეწყო ქუჩები, მათ შორის ასფალტირად შეკეთდა 24, მისასვლელი გზები, გაკეთდა ახალი მოედნები, სკვერები, გაზონები, დაირგო ათიათასამდე ძირი ხე და ბუჩქი, უახლოეს ხანში თთავრდება და მწყობრში ჩადგება ავტოსტრადა თბილისი-აეროპორტი, რაიონში დაკმაყოფილებულ იქნენ ბინის აღრიცხვაზე მყოფი ომის ინვალიდთა ოჯახები.

ამაზე და ბევრ სხვა მიღწევებზე ამომრჩევლებს დამაჯერებლად ესაუბრება ასობით აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, ავრეთვე ლექტორ-მომხსენებელი, ისინი ამასთან მოუთხრობენ იმაზე, რომ კიდევ უფრო ლამაზი, ნათელი და პერსპექტიული რაიონის მომავალი.

ეთერ მამალაძე.

თბილისის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

არჩევნებიდან არჩევნებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადასცეს „შრომითი დიდების“ მე-3 ხარისხის ორდენები რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მოწინავეთა დიდ ჯგუფს, რომლებსაც ეს ჯილდო მიენიჭათ დიდი შრომითი წარმატებებისა და ერთ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში მრავალი წლის უბადო მუშაობისათვის. აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც პირველებს ჩვენს რესპუბლიკაში გადაეცათ ეს საპატიო ჯილდო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა ,ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ.

ჯილდოები გადასცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის ამრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე ი. გ. შაიშელაშვილი, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ინნინ“ გამომქრელი მ. დ. ქვეხიშვილი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მკერავი მოტორისტი დ. ნ. გოისაშვილი, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას თავიანთი შრომის დიდი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ უფრო თავდადებით იმუშავებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებები და ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

დაჯილდოებულთ გულთბილად მიულოცა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ე. ი. დუდნენკომ.

გ. ს. ძოწენიძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ მშრომელ ადამიანს, რისი დადასტურებაც აქის ორდენების გადაცემა მსუბუქი მრეწველობის მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის. გ. ს. ძოწენიძემ დაჯილდოებულთ უსურვა ჯანმრთელობა, ახალი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

ნოვატორი მუშა აირჩიეს პროფსაბჭოს მდივნად

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად და პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩიეს სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე.

ი. ხაზარაძეს შრომითი გზა პლენუმზე დაახასიათეს ქუთაისის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ო. ოკუჯავამ, „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მშენებელთა ბრიგადის ნელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ჭელიძემ, საქართველოს მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჭუმბუიაძემ.

ჩვენს ქვეყანაში ცნობილმა ნოვატორმა მუშამ ი. ხაზარაძემ თითქმის 30 წელი იმუშავა ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. იგი იყო ოგითი მუშა. შემდეგ კი ოსტატი უბნის უფროსის მოადგილე. ი. ხაზარაძემ ქარხანაში შექმნა და სათავეში ჩაუდგა ჩვენს ქვეყანაში პირველ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსურ შემოქმედებითს ბრიგადას. ამ დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ამ ბოლო დროს იგი ხელმძღვანელობდა ქუთაისის ტექნიკის სახლს.

ი. ხაზარაძე სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებული ბევრი თაოსნობის ინიციატორია. მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისა და საწარმოო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისთვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ი. ხაზარაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ XXIII და XXIV ყრილობების დელეგატი, არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. მან დაამთავრა სახელოსნო სასწავლებელი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში და საშუალო სკოლა წარმოებას მოუწყვეტლივ, ახლა ამთავრებს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს ი. ხაზარაძეს ევალება მუშათა შრომისა და პირობების გაუმჯობესების, შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. (საქინფორმი).

რწმენა გამარჯვებისა

არჩევნებისათვის მზადება დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობდა. მე, ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის მექანიზატორს მეამაყება ის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალეხჯიხის № 310 ოლქში ხმას მივცემ წალეჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორ მეჩაიეს თალიკო მალაქიას ასულ შანავას. იგი ნამდვილად ღირსეულად შეასრულებს ხალხის მსახურის მოვალეობას.

არჩევნების დღეს ახალი წარმატებებით ვხვდები. ჯერ კიდევ შარშან შეკასრულე ჩაის მექანიზებული კრეფის ხუთწლიანი გეგმა — 320 ტონა მოვკრიფე, ნაცვლად 270 ტონისა. ახლა იმისთვის ვიბრძვი, რომ წლეულს „ჩა-900“ მანქანით მოვკრიფო 70 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 54 ტონისა.

სასიხარულოა, რომ წლეულს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სამშობლოს ათასობით ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მისცემს. ამ საქმეში ჩაის მკრეფავი მექანიზატორების დიდი წვლილიც იქნება.

ხმას ვაძლევ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს და ვიცი, რომ ამით ხმას ვაძლევ ახალი წარმატებების მოპოვებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერებას და საყოველთაო მშვიდობას. ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული სიტყვა, რომელიც მან ამომრჩეველების წინაშე წარმოთქვა.

კლიმენტი ლაშხია,

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მექანიზატორი.

სიკეთე

მე უკვე სამოცდათვრამეტ წელს გადავაბიჯე, მაგრამ ახალგაზრდულად მიცემს გული. უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ, როცა მშობლიური ქალაქის — ტყიბულის ქუჩებში მივაბიჯებ. მე ხომ ყველა მისი შახტის მშენებლობაზე მიმუშავია. ჩემი სიცოცხლის ნახევარი საუკუნე მიწისქვეშა გამონამუშევრების გაყვანას, ახალი ჰორიზონტების მშენებლობას მოვახმარე. ამ დღეებში კიდევ უფრო გაცსოველდა ეს დიდი სიამოვნება, როცა მოვისმინე ლ. ი. ბრეჟნევის გულში ჩამწვდომი წინასაარჩევნო სიტყვა.

მიხარია, რომ შრომა დამიფასდა. ოცდაშვიდ წელზე მეტია, რაც სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მომენიჭა. ეს დიდი ჯილდო საბადოს მშენებისა და სიამაყის — ორჯონიკიძის სახელობის შახტის მშენებლობაზე თავის გამოჩენისათვის მომანიჭეს.

ბედნიერი მოხუცი ვარ. შვილებს უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრებინე, ყველანი ოჯახს მოეკიდნენ. უფროსი ვაჟი ჯუმბერი ჩემი გზით წავიდა, შახტმშენებელი გახდა და ახლა სტალინის სახელობის № 2 ახალ შახტს აშენებს, სამთო საამქროს ხელმძღვანელობს.

ახლა პენსიაზე ვარ, მაგრამ გული არ მითმენს, ხშირად დავდივარ საარჩევნო უბანში, ვხვდები ახალგაზრდა მეშახტე ამომრჩევლებს, ვესაუბრები მათ განვლილი შრომითი გზის შესახებ, ვუზიარებ ჩემი მუშაობის მდიდარ გამოცდილებას. მეამაყება, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდად აფასებენ პატიოსან მშრომელ ადამიანს.

დღეს დიდი სიამაყის გრძნობით პირველად გამოვცხადდები საარჩევნო უბანში და ხმას მივცემ ჩვენი ხალხის ღირსეულ კანდიდატებს. მჯერა ამით ხმას მივცემ ჩვენს დიდებულ და ნათელ მომავალს.

პ. ჰელიშვილი,

სოციალისტური შრომის გმირი, პერსონალური პენსიონერი.

ჩემი სიხარული

დაუვიწყარი დღე იყო ჩემთვის 13 ივნისი, როცა გუსმენდი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვას. მე პირველად ვმონაწილეობ არჩევნებში, პირველად განვახორციელებ მოქალაქეობრივ უფლებას.

როგორც ყოველთვის, ახლაც რესპუბლიკის უმაღლეს, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი არიან საბჭოთა ხალხის ღირსეული წარმომადგენლები, ისინი, ვინც თავი გამოიჩინა ხალხის საკეთილდღეო შრომისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დეპუტატობის კანდიდატები გაამართლებენ დიდ ნდობას და ამ ნდობის მანდატით ბოლომდე ემსახურებიან თავიანთ ამომრჩევლებს.

ხმას რომ მივცემთ დეპუტატობის კანდიდატებს, ამით ხმას მივცემთ ჩვენს უკეთეს მომავალს, ნათელ და ბედნიერ ცხოვრებას.

ძეთევნი რუხაძე,

ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის მუშა, ახალგაზრდა ამომრჩეველი.

კარგი ტრადიცია

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კლუბში 42-ე საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის თავიანთ ღირსეულ კანდიდატებს — მ. კაპანაძეს, ნინო იოსავას, მ. ჯალიაშვილს და მადონა ჩაკვეტაძეს.

ამ უბნის ამომრჩევლებს დამკვიდრებული აქვთ კარგი ტრადიცია — მოსწავლეებს წინასაარჩევნო შეხვედრაზე გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. შეხვედრაზე მოვიდნენ ამ ოლქში მცხოვრები წარჩინებული მოსწავლეები, რომლებსაც საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა გადასცა წიგნები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები. („კომუნისტის“ კორ.).

ისინი პირველად აძლევენ ხმას

აი ისინი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც წლეულს პირველად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში (მარცხნიდან): რ. ქემერტელიძე, ლ. კოჭლამაზაშვილი, ნ. გავაშელი, ს. ტაბატაძე, მ. ალანია, ფ. ფრიდონაშვილი, გ. პეტრუშაშვილი და ბ. ცერცვაძე.

გ. ბუგუსლის ფოტო.

მთიულიშვილები უბანში მიდიან

რეპორტაჟი

იმათ შორის, ვინც პირველი მოვლენ საარჩევნო ყუთებთან, იქნებიან მთიულიშვილის ოჯახის წევრები, რომლებმაც დიდი გულისყურით უსმინეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას.

მთიულიშვილების ოჯახი დიდი სიყვარულით სარგებლობს. მას ბაბავენ, შეგობრობენ. ამ ოჯახის როგორც ხანდაზმული, ისე ახალგაზრდა წევრები მუდამ აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმეებში, მეზობლები მათ ენდობიან.

რითი მოიპოვეს ამ უბრალო, რიგითმა ადამიანებმა ასეთი საყოველთაო პატივისცემა? თავიანთი დიდი შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით და გულშიჩამწვდომობით, მთელ საზოგადოებაში რომ გამოაჩენს ხოლმე ადამიანს.

ერთმანეთზე უკეთესი ექვსი შვილი ჰყავთ ეკატერინე და გიორგი მთიულიშვილებს, ექვსივემ დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლა დაამთავრა. მთიულიშვილ ლ ე ბ ს სწამთ: არ არსებობს დიდი და მცირე პროფესია, არსებობენ საქმის ცუდი და კარგი შემსრულებლები.

ახალგაზრდა მთიულიშვილები — ნოდარი, ნაირა, რეზო, თინა, მარიამი და მაყვალა მუშათა კლასის წარმომადგენლები არიან, ისინი თავიანთი კეთილი საქმეებით ამდიდრებენ მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციებს, სათუთად უფრთხილდებიან მუშის სახელს, ნოდარი და რეზო ავტომძღოლები არიან, ნაირა რაიონინინოზე. შრომისმოყვარე გოგონა მიიღეს, ცოტა ხნის მერე პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ აირჩიეს, იყო რამდენიმე მოწვევის რაისაბჭოს დეპუტატი, ამჟამად დუშეთის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე იყრის ყენჭს მშობლიურ ქალაქში.

ნაირას უმცროსი და ნული გაზეთის ლინოტიპისტია. თექვსმეტი წლისა იყო, როცა სამუშაოდ არგვისპირში, აგურის ქარხნის მშენებლობაზე შავ მუშად წავიდა, იქიდან მოიტანა ოჯახში პირველი ხელფასი, მერე სხვებთან ერთად აშენებდა საკონსერვო ქარხანას, იქვე მოიწყო მუშად, შემდეგ გულმა სტამბისაკენ გაუწია და იქ შესანიშნავი მანქანის — ლინოტიპის მცოდნე გახდა, ამ ჭკვიანი მანქანის „ლაკვიშებზე ისე ათამაშებს თითებს, როგორც ვირტუოზი მუსიკოსი პიანინოზე.

ბით, ხელოვანის ოსტატობით გამოჰყავს ხალიჩაზე ქართული ორნამენტები. იმავე საამქროში მუშაობს ყველაზე უმცროსი და მაყვალა. დების ნახელავი ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობს. მათს საამქროში მოქსოვილი პროდუქცია იგზავნება ჩვენი ქვეყნის ბევრ რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ.

მარიამი საამქროს კოოპერაციული ორგანიზაციის მდივანია, ამომრჩევლებმა თაოსანი და გამრჯე მუშა დუშეთის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. ასე, რომ მთიულიშვილების ოჯახს, ორი დეპუტატი ეყოლება საქალაქო და რაიონულ საბჭოში.

ოჯახის მამა — გიორგი მთიულიშვილი პენსიონერია, მაგრამ უშრომლად გაძლება არ შეუძლია. ამტომაც კვლავ ბეჯითობს. დედა ეკატერინე დისახლისობს, ოჯახს აპურებს, უვლის.

წინა არჩევნებზეც მინახავს მთიულიშვილები საარჩევნო უბანში ყველაზე ადრე მოსულნი, წინ მშობლები მოდიოდნენ და მერე ერთმანეთზე უკეთესი შვილები. დღესაც ისინი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ა. თოიმაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

დღეს საქართველოს დედაქალაქში



სურათზე: დიდების კასკადი თბილისში, გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკში.

ს. კილაძის ფოტო.

ჟურნალისტის ფურცელი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, (საკადრო). უშიშროების საბჭომ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის მოხსენება კვიპროსში მშვიდობის შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ძალების საქმიანობის შესახებ და დაადგინა, რომ კვიპროსის მთავრობის თანხმობით მათი რაშუნებულების ვადა გაგრძელოს კიდევ ექვსი თვით მომდინარე წლის 15 დეკემბრამდე. რეზოლუცია, რომელიც 14 ხმის უმრავლესობით მიღებულ, მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს დაიჩქარონ მიზანდასახული ერთობლივი მეცადინეობა კუნძულზე მდგომარეობის მყარი მოწესრიგების მისაღწევად.

ჩინეთის დელეგატმა უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

სხდომაზე გაბართულმა დისკუსიამ ცხადყო მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ მდგომარეობა კვიპროსში კვლავაც მერყეევ და საშიშია, გრძელდება გარეგან ჩარევა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და ღიად საფრთხეშია მისი, როგორც სუვერენული, ტერიტორიულად მთლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სახელმწიფოს არსებობა.

რეაქციის წინააღმდეგ

დელი, (საკადრო). ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალურმა სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება რეაქციის ხრიკებთან დაკავშირებით, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ინდოეთის მთავრობას ახლანდელ კურსს.

რეაქციულმა პარტიებმა და მონოპოლისტურმა პრესამ, ნთქვამია განცხადებაში, გაშალეს კამპანია, რომელიც მოითხოვს პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის დაუყოვნებლივ გადადგომას. სავსებით ცხადია მემარჯვენე რეაქციის ავბედითი პოლიტიკური აზრი და მიზნები, რომელსაც მხარს უჭერს საერთაშორისო იმპერიალიზმი, — რადაც უნდა დაუჯდეს ხალხ იგდოს ძალაუფლება ქვეყანაში. ხალხი ყოველთვის ფუშავდა რეაქციის შაბლონ ზრახვებს. ახლა მემარჯვენე ძალებს, რომლებიც უგულებელყოფენ ხალხის ნებას, სურთ ისარგებლონ ალაჰაბადის სასამართლოს გადწყვეტილებით, რომელმაც ბთილად ცნო ცენტრალური პარლამენტის 1971 წლის არჩევნები ოლქში, სადაც ინდირა განდიმ გაიმარჯვა. კომპარტია მიიჩნია, რომ არ უნდა აპყენენ რეაქციული ძალების შანტაჟსა და ზეგომქმედებას.

მიტინგი რომში

რომი, (საკადრო). გუშინ საღამოს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ რომში მოაწყო დიდი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა თვითმმართველობის საოლქო, პროვინციული და მუნიციპალური ორგანოების არჩევნებისათვის მზადებაში იტალიის კომპარტიის საარჩევნო კამპანიის დამთავრებას. არჩევნები გაიმართება კვირას.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ენრიკო ბერლინგუერმა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიის რიგების, მშრომელების, ხალხის მთელი ძალების მჭიდრო შეკავშირება ქვეყნის განახლებისათვის, მშრომელი ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში. იტალიის დემოკრატიული განახლება, ხაზგასმით აღნიშნა ე. ბერლინგუერმა, ახლა შეუძლებელია ისეთი მძლავრი ძალის გარეშე, როგორიცაა იტალიის კომპარტია.

„სოიუზ"-„აპოლონი"

უპრეცედენტო ექსპერიმენტი

ვაშინგტონი. (საკადრო). ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „სოიუზ" და „აპოლონ" საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების მომავალ ერთობლივ ფრენას. უპრეცედენტო კოსმოსური ექსპერიმენტი თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა კეთილნყოფიერი დაძაბულობის შენელება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში, თქვა საკადესის კონგრესმენდენტთან საუბარში ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს პილოტირებული ფრენის განყოფილების ხელმძღვანელმა დოქტორმა ჯ. იარდლიმ.

იარდლიმ კონგრესმენდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებანი საბჭოთა მხარესთან ერთად ფრენისათვის მზადების შესახებ და განაცხადა, რომ განვლილ სამ წელიწადში დაგროვილმა გამოცდილებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე კარგად გავიცანი რუსები და შესანიშნავ ადამიანებად მიმაჩნია ისინი, თქვა მან. ბუნებრივია, ჩვენ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდით საერთო ენის გამოძებნას.

დეპუტატობის კანდიდატი 140 წლისაა

აზერბაიჯანის ოთხი მთიანი სოფლის მცხოვრებლებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ჩვენი ქვეყნის უხუცესი ადამიანი, სოფელ ტაკიაბანდის კოლმეურნე, 140 წლის მეჯიდ აგაევი.

აზერბაიჯანის უხუცესთა მხარეს ეძახიან: აქ ცოტანი როდი ცხოვრობენ ისინი, ვისი ასაკიც 100 წელია ან უახლოესდება ამ ციფრს. ბევრ მათგანს ხანდაზმულობა ვერას აკლებს და ჯანლონით, ენერგიით, სიცოცხლისუნარიანობით სავსეა, კვლავ შრომობს. უხუცესთა უმრავლესობა თალშოსკის მთებში ცხოვრობს.

მეჯიდ აგაევი 120 წელი მწყემსადა ცხვარს და მხოლოდ შარშან მიანება თავი ამ საქმეს. და თუმცა მას, როგორც პენსიონერს, შეუძლია წყნარად და უზრუნველად გაატაროს ცხოვრება, მეჯიდს არ სურს გულხელდაკრეფილი იჯდეს. ის იცავს საკოლმეურნეო მინდვრებს. საქონელმა რომ არ გადათელოს. დღეში 10-12 კილომეტრის გავლა უხდება. უხუცეს ადამიანს ავტორიტეტი აქვს მოხვეული სოფლის მცხოვრებლებში, მასთან ხშირად მიდიან რჩევისათვის.

აგაევი მაღალია, ხმელ-ხმილი, კარგად ხედავს. მის ასაკს მხოლოდ ნაოჭებით დაღარული სახე და გათხელებული წვერი ამყოვნებს. აგაევის ჯანმრთელობა ჩინებულია. უკანასკნელმა სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა: მოხუცის მაჯისცემა წუთში 62-ია, სისხლის წნევა — 140 70-ზე.

მეჯიდ აგაევს დიდი ოჯახი ჰყავს — 151 კაცი: შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილთა შვილები... 70 წლის წინათ მეჯიდს ცოლი გარდაეცვალა და მეორედ დაქორწინდა.

ვ. გრიგორიევი.
ასს-ის კორესპონდენტი.

ვაჟკაცობა, საზრიანობა

არ დაიბნა

ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა სოყარაულო სამსახურს ეწეოდა. გათენებისას, როცა უმცროსი სერჟანტი ი. ივანცოვი საგუშაგოდ გავიდა, ძლიერი ქარი ამოვარდა და წვიმამ დაუშვა. სიცივით მობუზული ივანცოვი გარს უვლიდა საყარაულო ობიექტს.

როცა ცვლამდე ნახევარ საათზე. ნაკლები რჩებოდა, გუშაგს რაღაც ტაკაცუნი მოესმა და იმავ წამს ბოძზე ნათურა ჩაქრა. სულმთლად დაბნელდა. სამაგიეროდ პარკის მახლობლად, სადაც საბრძოლო ტექნიკა და საწვავის საწყობები იყო, გუშაგმა ჯერ ნაპერწკლები შენიშნა, შემდეგ კი ცეცხლის ალიც დაინახა.

ივანცოვმა მყისვე შეაფასა შექმნილი სიტუაცია. ფარდულქვეშ ჩამრაზი გამორთო, კედლიდან ცეცხლსაქრობი ჩამოხსნა და ეცეცხლ ეკვეთა. შემდეგ ჯარისკაცმა ხანძრის ამბავი საყარაულოს აცნობა. მალე სგუშაგოზე მოვიდნენ რიგითი ჯარისკაცები ი. პოსოხოვი, ნ. სანკიძე და გაერთიანებული ძალებით ცეცხლი ჩაკრეს.

გამოჩენილი ვაჟკაცობისა და საზრიანობისათვის უმცროს სერჟანტ ივანცოვს ხანმოკლე შვებულება მისცეს სამშობლოში გასამგზავრებლად. (საინფორმო).

მოქმედთა სახელოვნისა

გათუმი. (საკ. კორ.) მოძმე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის მშრომელთა მეგობრობის აღსანიშნავად ახლახან ლენინის ქუჩაზე გაიხსნა რესტორანი „ბლაგოევგრადი". აქ ამზადებენ როგორც ქართულ, ასევე ბულგარულ კერძებს.

ქალაქ ბლაგოევგრადშიც არის ბათუმის ქუჩა და რესტორანი" აჭარა".

მ. გორგილაძე.

შევქმნათ მაღალმხატვრული და მაღალიდეური ფილმები

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

სამი წელი გავიდა, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", დოკუმენტი, რომელშიც პარტიამ კინოს მოღვაწეებს დაუსახა დიდი და პასუხსაგები ამოცანები, აღნიშნა მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შესაბამისად 1974 წლის ქართული მხატვრული ფილმების განხილვას მიეძღვნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმი, რომელიც 12 ივნისს გაიმართა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ს. დოლიძემ.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ა. ბაქრაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერალმა ჭ. ამირეჯიბმა, საქართველოს სახკინოს მთავარმა რედაქტორმა ა. ჭიჭინაძემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის" მთავარმა რედაქტორმა გ. დვალიშვილმა, რეჟისორმა ო. იოსელიანმა, სსრ კავშირის სახკინოს კინოს თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ს. დრობაშენკომ, მწერალმა მ. ელიოზიშვილმა, რესპუბლიკის სახკინოს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ბეჭვაიამ, მუსიკათმცოდნემ ე. მაჭავარიანმა, რეჟისორმა რ. ხოტივარმა, კინოკრიტიკოსმა ო. თაბაუაშვილმა, რეჟისორმა ნ. სანიშვილმა.

პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ლ. კულიჯანოვი.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია ქართული კინემატოგრაფის შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი.

(საინფორმო).

საქართველოს კურორტებზე

ბ წვანე კონცხი აჭარის ერთ-ერთი პოპულარული კურორტია. ახლა აქ ისვენებენ ბალტიისპირეთისა და შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთისა და შუა აზიის მშრომელები.

სურათზე: მწვანე კონცხის პლაჟზე.

ა. სააკოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

პროგრესული მეთოდებით

ახლახან რუსთავში გაიხსნა უნივერსალური სასურსათო მაღაზია, რომელიც პროგრესული მეთოდით — უგამყიდველოდ მუშაობს. უკანასკნელ ერთ წელიწადში სავაჭრო ქსელს კიდევ ოთხი მაღაზია შეემატა, რომლებიც ასევე ახლებურად მუშაობენ.

რუსთავის სავაჭრო ქსელში გაბედულად ინერგება ახალი წესები და მეთოდები. აქ საქონლბრუნვაში მოქცეული ობიექტების 46 პროცენტი თვითმომსახურებით მუშაობაზეა გადასული. გამოყენებულია აგრეთვე წინასწარი შეკვეთით ვაჭრობა. საქონლის შინ მიწოდება და მრავალი სხვა მეთოდი.

წელს პირველ კვარტალში საავაჭრო ქსელმა 241 ათასი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი მიჰყიდა მოსახლეობას, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ამ და სხვა მაჩვენებლების მიხედვით რუსთავვაჭრობის კოლექტივ მ. (დირექტორი მ. ტყეშელაშვილი) გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დასაკუთრა. მათვე მიეცათ პირველი ფულადი პრემია.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შინამოუსვლელთა უკვდავსაყოფად

● **დმანისი** რაიონის სოფელ განთიადის ბევრმა მკვიდრმა სახელოვნად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და მაღალი ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ, მაგრამ ბევრიც სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად განთიადის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეებმა გამარჯვების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით სოფლის განაპირას, მდინარე ორწყლების თვალწარმტაც სანაპიროზე ერთ ჰექტარ ფართობზე ტყე-პარკი გააშენეს. ტყე-პარკში დარგეს ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშის 700 ძირზე მეტი ხე.

თ. აკრიტიდი,
განთიადის საშუალო სკოლის დირექტორი.

● **ბევრმა** ჯრიელმა ვაჟკაცმა ისახელა თავი დიდ სამამულო ომში. მათგან 200 ვაჟკაცი შინ აღარ დაბრუნებულა. სოფელი არ ივიწყებს ბრძოლის ველზე სასახელოდ დაცვენულ თანასოფლელებს. მათ სადიდებლად და სამარადჟამო მოსაგონებლად ჯრიელებმა რუფოფთის „შინმოუსვლელთა ხეივანთან" აღმართეს ძეგლი-სტელი.

ავ. სამაჯიშვილი.
თერჯოლა.

მუშაკეტერები ფინიშთან

მინსკიდან ცენტრი - ვანდერერებს

მუშარიბაევია დიდ ბერლინ[illegible] რომელიც ბელორუსიის დ[illegible] ში მიმდინარეობს, ფინიში აქვს. უკანასკნელი ასპარეზობები მიეწყობა დაშნით მებრძოლთა შორის.

გუშინ შუადღისას რედაქცია მინსკში ტელეფონით დაუკავშირდა ტურნირის პრეს-ცენტრს. აი რა გვაცნობეს:

— რაპირისტთა გუნდურ შეჯიბრებას, რომელიც დღეს დაიწყო აქ, წინ უძღოდა პირადი შეხვედრები. შეჯიბრების ამ ეტაპზე საქართველოს სპორტსმენებს წარმატება არ ჰქონიათ. ისინი ნახევარფინალშიც ვერ მოხვდნენ.

ფინალისტთა შემადგენლობა მეტად ძლიერი იყო, ამიტომ დასკვნითი შეხვედრები შეუპოვრობით გამოირჩეოდა. საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას აცხადებდნენ რსფსრ-ის ორი და უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის თითო მოფარიკავე. ფინალში ოთხ-ოთხი მოგება აღმოაჩნდათ ვ. დენისოვს (რსფსრ) და ს. რუზიევს (უზბეკეთი). საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრა, სადაც წარმატება ვ. დენისოვს ხვდა და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მან მოიპოვა.

[illegible] საქართველოს რაპირისტთა გუნ[illegible] ნაკრებს. დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ბოლო ეტაპზე წარმატება ყაზახეთის გუნდს ხვდა.

საერთო გუნდურ პირველობაში მთავარი მეტოქეები არიან—ბელორუსიის, რსფსრ-ისა და მოსკოვის გუნდები.

პრეს-ცენტრში გვიკარნახეს აგრეთვე მეტოქეთა საერთო გუნდური მდგომარეობა. აი როგორია იგი:

1.	ბელორუსია	188 ქულა
2.	რსფსრ	182 „
3.	მოსკოვი	162 „
4.	უკრაინა	96 „
5.	საქართველო	58 „
6.	ლენინგრადი	40 „
7.	უზბეკეთი	36 „
8.	აზერბაიჯანი	36 „
9.	ყაზახეთი	28 „
10.	ლომხეთი	20 „
11.	ლიტვა	8 „

დანარჩენ რესპუბლიკებს ჯერ არცერთი ქულა არა აქვთ.

გუშინ საღამოს გვაცნობეს: გიმარჯვა რსფსრ-ის რაპირისტ ვაკთა გუნდმა. საქართველოს გუნდი მე-11 იყო, ქულა არ მოუცია.

კალათბურთი

დღეს ფინალის ფინალია

ასე შეიძლება ეწოდოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებთა შეხვედრას, რომელიც დღეს გაიმართება ბელგრადის სპორტის სასახლე „პიონერში". საქმე ის არის, რომ ევროპის მე-19 ჩემპიონატის ფინალური ტურნირის უკანასკნელ გადამწყვეტ მატჩში სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს. გუშინდღამდე სწორედ ისინი იბრძოდნენ დაუმარცხებლად, გუშინ გვიან კი საბჭოთა კალათბურთელები ხვდებოდნენ ესპანელებს, ხოლო იუგოსლავიელები— ბულგარელებს.

პარასკევს საბჭოთა კალათბურთელებმა კიდევ ერთი შეხვედრა მოიგეს. ანგარიშით 94:69 (47:40) ჩვენმა ნაკრებმა გაიმარჯვა ბულგარეთის გუნდთან. პირველ ტაიმში, რომელიც საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ჟიგილი, ჯარმუჰამედოვი, ქორქია, ედელჩო და ს. ბელოვი თამაში თანაბრად მიმდინარეობდა — 14:14, 16:16, 20:20, მაგრამ ს. ბელოვისა და მოედანზე გამოსული სალნიკოვის მეშვეობით ჩვენი კალათბურთელები დაწინაურდნენ და ტაიმი შეიარა ქულის სხვაობით მოიგეს. შესვენების შემდეგ კი იგი 25 ქულამდე გაიზარდა.

საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ს. ბელოვი — 21 ქულა და სალნიკოვი — 19 ქულა, ბულგარელებიდან გოლომეევი—31 ქულა. საინტერესოა, რომ ეს 27 წლის კალათბურთელი ლიდერობს ტურნირის ბომბარდირთა სიას (127 ქულა).

ამ დღეს იუგოსლავიის ნაკრები თავისუფალი იყო თამაშისაგან, ხოლო იტალიელებისა და ესპანელთა ორთაბრძოლა ანგარიშით 89:69 (43:36) მოიგეს იტალიელებმა.

ჭადრაკი

მოწაფის კვალდაკვალ

იუგოსლავიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეცხრე ტურში (იგი უკვე ლიუბლიანაში გაიმართა) მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა შავებით მოუგო იუგოსლავიელ ოსტატ მუსიღს. ჩემპიონის მწვრთნელმა — სემონ ფურმანმა აგრეთვე შავებით დაამარცხა იტალიელი მარიოტი.

ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები იუგოსლავიელმა მოჭადრაკეებმა: გლიგორიჩმა — ოსტერმანთან და ველიმიროვიჩმა — ლიუბოევიჩთან.

ცხრა ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინ არის კარპოვი — 7 ქულა, ფურმანს 6,5 ქულა აქვს, გლიგორიჩს — 6.

ფეხბურთი

გუშინ და დღეს...

„ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-11 ტურის ერთი შეხვედრა გაიმართა გუშინ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე, სადაც ასპარეზობდნენ დედაქალაქის „ტორპედო" და ცსკა. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 1:1.

დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება ამ ტურის კიდევ 6 მატჩი. აი ვინ ხვდება ერთმანეთს „დინამო" კ. — „დინამო" მ; „არარატი" — „პახტაკორი"; „შახტიორი" — „ზარია"; „დნეპრი" — „სპარტაკი"; „ჩერნომორეცი" — „კარპატი"; სკა — „დინამო" თბ.

როსტოველ და თბილისელ ფეხბურთელთა ორთაბრძოლის მეორე ტაიმის რეპორტაჟი დაიწყება საქართველოს რადიოთი 20 საათზე თბილისის დროით.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიის მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტო" და „სპორტლოტო-2"-ის მრიგი 21-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტოს": ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 2.806 მანეთი (106 ბარათი); ოთხი ნომერი — 70 მანეთი (5.335 ბარათი); სამი ნომერი — 3 მანეთი (103.993 ბარათი).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერია გამოცნობილი ერთ ბარათში, მოგება შეადგენს 5.000 მანეთს; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 3.626 მანეთი (24 ბარათი); ოთხი ნომერი — 73 მანეთი (1.383 ბარათი), სამი ნომერი — 4 მანეთი (28.449 ბარათი).

მიკლედ

ჩოგბურთი. პარიზის როლან გაროს კორტებზე გაიმართა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები. ამერიკელმა კრის ევერტმა ანგარიშით 6:4, 6:2 დაამარცხა საბჭოთა ოსტატი ოლგა მოროზოვა და ახლა ფინალში შეხვდება ჩეხოსლოვაკიელ ნავრატილოვას, რომელმაც თავის მხრივ სძლია ნიუ-ბერის (აშშ).

უკეთ გამოვიდა ო. მოროზოვა წყვილთა შეჯიბრებაში. სადაც ამერიკელ ჯული ენტონთან ერთად ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ისინი შეხვდებიან კრის ევერტსა (აშშ) და მარტინა ნავრატილოვას (ჩეხოსლოვაკია).

ფეხბურთი. გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. როგორ ითამაშეს ლიდერებმა? მინსკის „დინამო" იაროსლავლში დამარცხდა ადგილობრივ „შინიკთან" — 0:2, ხოლო ბაქოს „ნეფტჩიმ" თავის მოედანზე დიდი ანგარიშით 5:2 მოუგო ყაზანის „რუბინს".

ეკრანი

15 ივნისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — ბავშვებისათვის ღილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან) 10.30 — ფერადი ტელევიზია — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!" (ცენტრალური ტელევიზიის 8 ივნისის გადაცემის განმეორება), 12.00 — „კინოაფიშა", 12.30 — სატელევიზიო ფილმი „ადამიანები, შრომა, შემოქმედება", 12.45 — ფერადი ტელევიზია — „პოეზია" —საბჭოთა პოეტების ლექსები პარტიაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 —ბავშვებისათვის გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ფეფი კუნტრუბუნტის თავგადასავალი" (V, VI სერია). (ქართულ ენაზე), 14.15 — „კინოს მოყვარულთათვის", 15.35 — კინონარკვევი, 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოეთის ბავშვები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.40 — ფერადი ტელევიზია. „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.10 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ჟურნალი „საპიონელა", 18.00 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — ახალი ამბები — მოსკოვიდან, 19.15 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიადი გამარჯვების ზეიმი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.05 — „ბალეტის საღამო", 20.35 — ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღე, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფერადი ტელევიზია — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) II ტაიმი (გადმოცემა კიევიდან), 22.15 — „ეკრანია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საესტრადო კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „სამი წელი", 19.45 — კონცერტი, 20.35 — სატელევიზიო ფილმი „არგუმენტი სკალპელის წინააღმდეგ", 21.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ჟამი მოსვენებისა".

რადიო

16 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — რ. გაბიჩვაძე. სიმფონია სიმებიანი საკრავების, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის. 11.45 — საუბარი „ალკოპოლი ჯანმრთელობის მტერია", 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ი. გრიშაშვილის ლექსები. 12.30 — პიესები საფორტეპიანო ტრიოსათვის, 12.45 — მღერის ა. გერმანი. 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30 — გაზეთ „პრავდის მოწინავე სტატია. 14.00 — ჯ. მასაკანი. ოპერა „სოლოს პაპიოსნება" 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოოადგმა „ი. გოგებაშვილი". 18.05 — ქართული ხალხური მუსიკა. 18.45 — ე. ჭარკოვსკი. სიმღერები. 19.00 — საუბარი „ხარისხი — უმთავრესი ორიენტირი". 19.15 — ქართული კამერული მუსიკა. 19.40 — მსუბუქი მუსიკა. 20.20 — „თეატრი მიკროფონთან". რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ხანუმა". 23.30 — მღერის მ. ქასრაშვილი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ეს ვნახოთ, ეს ქოქილაქოთ

თეატრები

15 ივნისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ამაო სიფრთხილე (ღონისთ). დაისი (საღამოს): კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი კატიოსანი. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თოკვლიანი მთვრები. მელოდიები: საქართველოს სახელმწიფო მინიატურების ზუგდიერთის მზის დასანელება საქართველოში.

ბაზრიდ „კომუნისტის" მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 ივნისს.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03 99-03-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61 სოფლის — 93-22-93, მეურნეობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 86443 УЭ 02744 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14